30 აპრილს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ეწვია ვატოპედის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ეფრემ ვატოპედელი (საბერძნეთი). შეხვედრა გაიმართა გ. ნიკოლაძის სახელობის დარბაზში. საპატიო სტუმარს მიესალმნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი არჩილ ფრანგიშვილი და თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი, მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე.

ეფრემ ვატოპედელს მიენიჭა საქართელოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ხარისხი. საპატიო დოქტორის დიპლომი მას გადასცა ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა არჩილ ფრანგიშვილმა.

მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ მას ხარების ხატი აჩუქა, პროფ. ივანე გორგიძემ კი - ღმრთისმშობლის კერიის მფარველი ხატი.

არქიმანდრიტმა ეფრემ ვატოპედელმა იქადაგა ტექნიკური უნივერსიტეტის გ. ნიკოლაძის სახელობის დარბაზში და ივერიის ღმრთისმშობლის ხატი უსახსოვრა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, რომელიც დაბრძანებულია წმინდა გიორგის სახელობის სამლოცველოში.